



A chronicle of the reign of Shah 'Abbas, Fazli Beg Khuzani Isfahani, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. Gibb Memorial Trust, 2015

ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის XVII საუკუნის ირანული წყარო შაჰ აბას I -ის (1587-1629) მმართველობის პერიოდს მოიცავს და წარმოადგენს ფაზლის დაკარგულად მიჩნეული ქრონიკის, „აფზალ ალ-თავარიხის“ (მშვენიერი ისტორია) მესამე ნაწილს. ¹ თხზულების აკადემიური ტექსტი 2015 წელს გამოიცა.²

ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი ყიზილბაშების ბატონობის პერიოდში (1616-1625) კახეთის მმართველის, ფეიქარ ხანის ვეზირი გახლდათ. სწორედ ამიტომ, როგორც სეფიანთა ირანისა და საქართველოს იმდროინდელი მოვლენების დიდი ნაწილის თვითმხილველი, ქართველების შესახებ მრავალი ცნობის ავტორადაც გვევლინება. „აფზალ ალ თავარიხი“ არის მნიშვნელოვანი წყარო არა მხოლოდ სეფიანთა ირანის პერიოდისა (1501-1722), არამედ საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის ისტორიის შესასწავლად.³

ქეთევან დედოფალზე

گرجیان چون پادشاه و پادشاهزاده خود را در دست فرزند و برادر کشته دیدند و دیگر وارث ملکی نبود که جمعیت بر سر او نمایند دیدو فال زن گرگین خان که عاقله روزگار بود و طهمورث پسر مشارالیه با ایلنه بیگم که نزد حضرت اعلی بود بغیر از ملایمت علاجی ندانسته بخدمت برادر شوهر شتافته اطاعت نمود. کوستندیل خان تلطفات به او نموده، فرمود که گرجیان را جمع نموده و طهمورث پسر خود را بجای شوهر پادشاه گرجستان تعقل نما که اخلاص او بر ضمیر خورشید نظیر پرتو انداخته طهمورث خان را به زودی می فرستد!

دید وقال جمعیت گرجیان که اطاعت پادشاه مسلمان بر ایشان جایز نیست و اگر پادشاهزاده ذکور نداشته باشند، اطاعت اناث که کلاه مرصع بر سر گذاشته بر تخت داودی سلطنت می فرمایند نموده مجموع را بخدمت آورد و شرف تعظیم و تسلیم که به آداب فرنگی زانو بر زمین نهاده، سر برهنه می نمایند دریافته خان را بسلطنت قبول (Fazli Beg Khuzani,388) نموده جمعیت بر سر دیدو فال نمودند.

¹ ტექსტი XX საუკუნის ბოლოს მიკვლეულ იქნა კემბრიჯში, ქრისტე ქოლეჯის ბიბლიოთეკაში, ინგლისელი ორიენტალისტის, ჩარლზ მელვილის მიერ.

² A chronicle of the reign of Shah 'Abbas, Fazli Beg Khuzani Isfahani, Edited by Kioumars Ghereghlou. With an introduction by Kioumars Ghereghlou and Charles Melville. Gibb Memorial Trust, 2015.

³ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ლევანთაძე თამარ, ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის ცნობები აღმ. საქართველოს და ირანის ურთიერთობის შესახებ (მე-17 ს-ის დასაწყისი); ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022; 102-115.

როდესაც ქართველებმა ალექსანდრე და მისი ვაჟი კონსტანტინე მირზას ხელით მოკლულნი იხილეს და შეხედეს, რომ აღარ არსებობდა მემკვიდრე ხალხის თვალში, გორგინ ხანის ცოლი [ავტორს უშლება. ქეთევან დედოფალი გიორგის ძმის, დავითის ცოლია], იმ დროის ყველაზე ბრძენი ქალი, ქეთევან დედოფალი, რომლის შვილები, უფლისწული თეიმურაზი და ქალიშვილი ელენე ბეგუმი მის უდიდებულესობასთან იმყოფებოდნენ, არ ჰქონდა რა მას სხვა გზა გარდა სიმშვიდისა და კეთილგანწყობისა, თავისი ქმრის ძმას დამორჩილდა. კონსტანტინე ხანმა კეთილგანწყობა გამოიჩინა რა მის მიმართ, ბრძანა, შეეკრიბათ ქართველები და მზის სხივის სადარი კეთილგონიერებისა და კეთილსინდისიერების მქონე საქართველოს გონიერი მეფის, მისი ქმრის, ადგილას მალე გამოეგზავნათ თეიმურაზი.

დედოფალმა შეკრიბა ის ქართველები, რომლებისთვისაც მუსლიმი მეფე მიუღებელი იყო და რომლებიც დავითის ტახტზე მორასა გვირგვინით შემკულს დასვამდნენ ქალს იმ შემთხვევაში, თუკი არ ეყოლებოდათ მამაკაცი მეფე. დედოფალმა ეს გარემოება მოახსენა რა ხანს, მიხვდა, რომ [შესაძლოა] ხანს [კონსტანტინეს] ამეფებდნენ, მის წინაშე დაიჩოქა, როგორც ამას ეტიკეტი მოითხოვდა, და [მას] პატივი და მორჩილება აღუთქვა.

خصوصاً جماعت گرمی که ایشان را بسلطنت ظهمرث خان برادرزاده خود که دبدو فال والده مشارالیه صاحب استقلال مهمات گرجستان است و کمال احتیاط از کوسندیل که پدر و برادر را کشت می نماید.

საქმე ისაა, რომ საქართველოს დამოუკიდებელი/ ერთპიროვნული მმართველი ხსენებული [ქეთევან] დედოფალი, რომელიც გამოირჩევა თავისი გამჭრიახობით, მამისა და ძმის მკვლელ კონსტანტინე ხანს არ ენდობოდა/ ერიდებოდა მას. (Fazli Beg Khuzani,379)

დიდოფალი მაღალი ტიპის ხანის დედა, ქვეით ჯარს მიუძღოდა. მან ხანის მოკვლის ბრძანება გასცა. როგორც ქართველებს სჩვევიათ, სასტიკად იბრძოდნენ. ალი ხან მოვაფეცი, სოლთან ჩაქერლუ და, ასევე, სხვა ახალგაზრდა ყიზილბაშები თავგანწირვით უტევდნენ და ძალიანაც კი უნდოდათ, მაგრამ ის უვიცი და ამპარტავანი ხანი არ ეგუებოდა რა ბედისწერას, არ იხევედა უკან, ქართველებს უტევდა და დედოფალს შეურაცხყოფდა და აგინებდა.

بعد از کشته شدن خان که بسمع دیدو فال رسید، قدغن نمود که دیگر کسی مرتکب قتل مسلمانان و گرجیان نشود و گرجیان هر کس را می دیدند برهنه نموده، می گذاشتند و خود با ظهورت خان بر سر کوستندیل خان آمده، او را از خاک برداشته، جمعی از مسلمان که حاضر بودند و خواجه ضیاء الدین که جهت مصلحت وقت در خدمت بود، بر سر خان آمده، او را به تابوت گذاشته، بجانب دار الارشاد اردبیل، به مضمون این مضرع که: "خود می کشی ای حافظ خود تعزیه می داری؟" روانه ساخت. و خود متوجه شهر زگم شده، سکه و خطبه بدستور سابق بنام نامی حضرت اعلی زبیب و زینت داده و کمال مهربانی به تجاری که در آن مبحث تاخت و تاراج شده بودند، نموده، هر یک را جزوی خرجی داد. (Fazli Beg Khuzani, 404-405)

ხანის მოკვლის შემდეგ დედოფალმა მუსლიმებსა და ქართველებს ერთმანეთის ხოცვა აუკრძალა. ვისაც [მუსლიმს] ნახავდნენ ქართველები, გააშიშვლებდნენ და ასე ტოვებდნენ. ხოლო თავად [დედოფალი] თეიმურაზთან ერთად კონსტანტინეს [ცხედრისთვის] წავიდა. იქ მყოფმა რამდენიმე მუსლიმმა და ხოჯა ზია- ედ-დინმა, რომელიც იმ დროს მისი მრჩეველი იყო, ხანის ცხედარი კუბოში ჩადეს და არდებილის გზას გაუყენეს. როგორც ამ მისრაში წერია: „თავად კლავ ჰაფეზს და თავადვე გლოვობ?!“ თავად [დედოფალი] ზაგემისკენ წავიდა, ძველი წესისამებრ მისი უდიდებულესობის სახელზე მონეტა მოჭრა და ხუტბა

აღავლინა. გამარცვულ ვაჭრებს დაუყვავა რა, მათ ფული მისცა და დაჭრილ და უმწეო ყიზილბაშებს მცველად და ხარჯებისთვის კაცი მიუჩინა, ხოლო თუკი გამოჯანმრთელების შემდეგ დარჩენა მოუნდებოდათ, დედოფლის მემკვიდრის, თეიმურაზ ხანის ამაღაში აიყვანდნენ რა [მათ], გასამრჯელოს მისცემდნენ, თუ არა და, მისცემდნენ ჯიბის ფულს და გაისტუმრებდნენ.

სპარსულიდან თარგმნა თამარ ლეკვეიშვილმა